**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,**
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
**Proceedings of Sokhumi State University**,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

**ბაკურ ლაშხია**[1]
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

DOI:https://doi.org/10.52340/sou.2023.21.05

# დამფუძნებელი კრების არჩევნები ზუგდიდის მაზრაში

**აბსტრაქტი.** წინამდებარე სტატიაში შესწავლილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები ზუგდიდის მაზრაში, რომელიც დღემდე შესწავლილი არ არის. 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობა გაიხსნა, 21 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია „საქართველოს ეროვნული საბჭო“, რომელსაც დამფუძ-ნებელი კრების მოწვევა დაევალა. 1918 წლის 24 ივნისს საქართველოს ეროვ-ნული საბჭოს მე-12 კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობა გადადგა და დამფუძნებელი კრების შეკრებამდე, მის მოვალეობას დროებითი მთავრობა ასრულებდა. 1918 წლის ოქტომბერში ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა, რომელმაც იმავე წლის 22 ნოემ-ბერს დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება. 1919 წლის 10 იანვარს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დამფუძ-ნებელი კრების არჩევნების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. 1919 წლის 3 იანვარს, საქართველოს პარლამენტის 77-ე კრების სხომაზე მი-ღებული გადაწყვეტილების თანახმად, დამფუძნებელი კრების არჩევნები 14-16 თებერვალს ჩაინიშნა.

აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 1919 წლის 16 იანვარს, ქალაქ ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის ხელმძღვანელობით, შედგა სამაზრო დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია.

ნაშრომში ეტაპობრივადაა განხილული ზუგდიდის მაზრაში ჩატარე-ბული არჩევნები და მისი შედეგები. 1919 წლის 14-17 თებერვალს ზუგდი-დიდს მაზრაში ჩატარებული დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები

[1] **ბაკურ ლაშხია**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

24 თებერვალს განიხილა ზუგდიდის სამაზრო კომისიამ. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 15 149 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 2 414 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 8 070 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 2 315 ხმა; საქართველოს ეროვნული პარტია - 7 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია - 57 ხმა; დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი - 1 ხმა.

ნაშრომში გაანალიზებულია ზუგდიდის მაზრაში მიმდინარე დამფუძნებელი კრების არჩევნები და გამოტანილია დასკვნა, რომ საქართველოს ამ კონკრეტულ მონაკვეთზე არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა.

***საკვანძო სიტყვები:*** დამფუძნებელი კრება, ზუგდიდის მაზრა, სამაზრო საარჩევნო კომისია, საისტორიო ცენტრალური არქივი, საარჩევნო უბნები, ზუგდიდის მაზრის არჩევნების ოქმები.

**Bakur Lashkhia**[2]
*Sokhumi State University*

## Constituent assembly elections in Zugdidi Mazra

**Abstract.** This article studies the elections of the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia in Zugdidi Mazra, which has not been studied to date. On November 19, 1917, the Georgian National Congress opened, and on November 21, the National Congress elected the "Georgian National Council," which was tasked with convening the Constituent Assembly. On June 24, 1918, by a decision taken at the 12th meeting of the Georgian National Council, the Georgian government resigned and, until the convening of the Constituent Assembly, its duties were performed by a provisional government. In October 1918, the National Council was renamed the Parliament of Georgia, which approved the Statute for the Constituent Assembly elections on November 22 of the same year. On January 10, 1919, the Parliament of Georgia adopted a decision to amend the Statute for the Constituent Assembly elections. On January 3, 1919, according to the decision taken at the 77th session of the Parliament of Georgia, the elections to the Constituent Assembly were scheduled for February 14-16.

[2] **Bakur Lashkhia**, Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

Based on the above decision, on January 16, 1919, under the leadership of the Zugdidi City Council, the Election Commission of the Constituent Assembly was formed. The work discusses the elections held in the Zugdidi district and their results in stages. The results of the elections of the Constituent Assembly held in the Zugdidi district on February 14-17, 1919 were discussed by the Zugdidi Council Commission on February 24. The results were distributed among political parties as follows: Georgian Social-Democratic Workers' Party - 15,149 votes; Georgian National-Democratic Party - 2,414 votes; Georgian Socialist-Revolutionary Party - 8,070 votes; Georgian Socialist-Federalist Revolutionary Party - 2,315 votes; Georgian National Party - 7 votes; Socialist Federalist Party of Georgia - 57 votes; Union of Independent Non-Parties - 1 vote. The paper analyzes the elections of the Constituent Assembly in the Zugdidi region and concludes that the elections in this particular part of Georgia were held in full compliance with democratic principles.

The paper analyzes the elections of the Constituent Assembly in the Zugdidi region and concludes that the elections in this specific part of Georgia were held in full compliance with democratic principles.

***Keywords:*** Constituent Assembly, Zugdidi Zemstvo, Zemsvto Election Commission, Historical Central Archive, Polling Stations, Report of Zugdidi Zemstvo Elections

**შესავალი**. დამფუძნებელი კრების იდეას საფუძველი ჯერ კიდევ რუსეთის 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის დროს ჩაეყარა და მალევე გახდა პოპულარული. მისი პრაქტიკული მომწიფება კი თვითმპყრობელობის დამხობის პერიოდიდან დაიწყო. 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთში დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა, თუმცა მას დიდხანს არ უმუშავია, რადგან ის ბოლშევიკებმა გარეკეს.

1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ყრილობა აკაკი ჩხენკელმა ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა. ყრილობის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს. 21 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია „საქართველოს ეროვნული საბჭო“. საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული დადგენილების მე-8-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევაზე ზრუნვა საქართველოს ეროვნულ საბჭოს დაევალა, რომელსაც 1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

სამწუხაროდ დამფუძნებელი კრების არჩევნების ისტორია ზუგდიდის მაზრაში შესწავლილი არ არის. აღნიშნული სტატიის მიზანია დეტალურად წარმოაჩინოს ზუგდიდის მაზრაში დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის მზადების პროცესი, არჩევნების მიმდინარეობა, მიღებული შედეგები, დაფიქსირებული ხარვეზები და ა. შ.

*კვლევის მეთოდი.* სამეცნიერო სტატიის მოსამზადებლად გამოყენებულია წყაროების კრიტიკული შესწავლისა და კონტენტ ანალიზის მეთოდი.

**მსჯელობა.** 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მე-7-ე მუხლის თანახმად: „დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო (ფონდი 1833: 1), რომელიც დაკომპლექტებული იყო შემდეგი პოლიტიკური პარტიებისაგან: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია, დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი, ალიონელები. გარდა ამისა ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნენ წარმომადგენლები: სოხუმის ოლქიდან, აჭარიდან, ქართველ ოსებიდან (სამაჩაბლო), ზაქათალადან (საინგილო) (კუპატაძე, 2009: 107; „ერთობა“, 1917: N205).

ეროვნული საბჭო ანუ საქართველოს პარლამენტი მიჩნეული იყო დროებით სტრუქტურად, რომელსაც უახლოეს მომავალში ადგილი უნდა დაეთმო სრულუფლებიანი დამფუძნებელი კრებისათვის.

დამფუძნებელი კრების არჩევას საქართველოში ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა - საშინაო და საგარეო. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი მრავალპარტიული იყო და ამავდროულად მას ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა, ფორმალურად ის მაინც არ იყო დემოკრატიული არჩევნების წესით არჩეული. ამ გარემოებას კი მუდამ სადემაგოგოდ იყენებდნენ საქართველოს რესპუბლიკის და დემოკრატიის მოწინააღმდეგეები.

რაც შეეხება საგარეო ფაქტორს, ახლო მომავალში უნდა შეკრებილიყო საერთაშორისო საზავო კონფერენცია, სადაც საქართველოს საკითხიც განიხილებოდა. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო კონფერენციაზე დელეგაცია გაეგზავნა ხელისუფლებას, რომელსაც მაღალი ლეგიტიმაცია ექნებოდა („ერთობა“, 1919: N6; „ერთობა“, 1919: N17).

1918 წლის 24 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მე-12 კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მთავრობის გადადგომის შესახებ. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე, მის მოვალეობას დროებითი მთავრობა შეასრულებდა, რომელიც იმავე დღეს, მე-13-ე კრებაზე იქნა არჩეული (ფონდი 1836: 3-5). 1918 წლის 22 ნოემბერს პარლამენტის მიერ დამტკიცებული დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების თანახმად, დამფუძნებელი კრება 130

წევრისაგან უნდა დაკომპლექტებულიყო. მათი არჩევა უნდა მოეხდინათ საქართველოს ორივე სქესის მოქალაქეებს, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული წარმომადგენლობის წესით.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს ორივე სქესის მოქალაქეებს, რომლებსაც 20 წელი შესრულებული ჰქონდათ. უშუალოდ საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა პირს, რომელიც შესაბამისი უბნის საარჩევნო სიაში იყო ჩაწერილი.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ მიღებულ „დამფუძნებელი კრების არჩევნების“ დებულების შესაბამისად არჩევნების ჩატარება ევალებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალურ, საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოების და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს. რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ირჩევდა საქართველოს პარლამენტი, რომელშიც შედიოდა თითო წარმომადგენელი ყველა პოლიტიკური პარტიიდან და ჯგუფიდან. დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია დაკომპლექტებული იყო შემდეგი წევრებისაგან: *საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან:* ალ. ლომთათიძე, სილ. ჯიბლაძე, მელ. რუსია, გ. ცინცაძე, ო. სოლოღაშვილი, ვ. ჟღენტი, ი. ფირცხალაიშვილი, სარ. თევზაძე; *საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან:* არ. ჭაჭანაშვილი, ი. ღლონტი; *საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან:* გ. გვაზავა, ლ. ასათიანი. *დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატებიდან:* გრ. ვეშაპელი; სოციალისტ-რევოლუციონერებიდან: ი. გობეჩია, ი. თევზაძე; *რადიკალ-დემოკრატებიდან:* ალ. ახმეტელი; *დაშნაკცუტუნიდან:* დ. დავითხანოვი; *დამოუკიდებელთა კავშირიდან:* კონსტანტინე მაყაშვილი; *თათრების ბლოკიდან:* აბდულ-რახიმ ახმედოვი; *კადატებიდან:* დოლუხანოვი (ფონდი 1834: 2).

სამაზრო საარჩევნო კომისიას ერობის გამგეობა აკომპლექტებდა. სამაზრო კომისიაში წევრის სრული უფლებით შედიოდა თითო წარმომადგენელი ყველა პოლიტიკური პარტიიდან და ჯგუფიდან, რომელსაც საკანდიდატო სია წარდგენილი ჰქონდა. იმ ქალაქებში, რომლის მცხოვრებლებთა რიცხვი 2 000 აღემატებოდა, ცალკე მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია არსდებოდა. ხსენებულ კომისიას ირჩევდა ქალაქის საბჭო თავისი წრიდან, მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების შესაბამისად. სოფლის საზოგადოების კომისიას სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია ადგენდა, საზოგადოებაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყო-

ბილების შესაბამისად. კომისიაში შედიოდა შვიდი (7) წევრი. წვრილ სასოფ-ლო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება ევალებოდა სოფლის საზოგადო-ების საარჩევნო კომისიას. აღნიშნული კომისია შედგებოდა ხუთი (5) წევრი-საგან. საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩევლებს საარჩევნო ბარათებს აძლევდნენ სამი დღის განმავლობაში, ქალაქში დილის ცხრა (9) საათიდან საღამოს ცხრა (9) საათამდე და სოფლებში კი - დილის რვა (8) საათიდან სა-ღამოს რვა (8) სათამდე.

1919 წლის 2 იანვარს პარლამენტის ცენტრალურმა საარჩევნო კომი-სიამ საჭიროდ მიიჩნია, რაც შეიძლება მალე მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება. მათი აზრით, წინასაარჩევნო სამუშაოების გათვალისწინებით: დამ-ფუძნებელი კრების არჩევნები შესაძლებელი იყო 1919 წლის 14 თებერვალს ჩატარებულიყო (ფონდი 1834: 1-2).

1919 წლის 10 იანვარს იმისათვის რომ არჩევნები 1919 წლის 14 თებე-რვალს ჩატარებულიყო, საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 22 ნოე-მბერს მიღებულ საარჩევნო დებულებაში შეიტანა მთელი რიგი შესწორებე-ბი, კერძოდ, ცვლილებები შეეხო შემდეგ მუხლებს: 30, 32, 33, 34, 36, 39, 40, 41, 43, 49, 50, 54 და 61 (ფონდი 1834: 27).

1919 წლის 3 იანვარს, საქართველოს პარლამენტის 77-ე კრების სხო-მაზე, მიუხედავად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუ-ციო პარტიის დიდი წინააღმდეგობის, დამფუძნებელი კრების არჩევნების დღედ 14-16 თებერვალი განისაზღვრა (ახალი სტილით) (ფონდი 1836: 3-6; „ერთობა“, 1919: N4).

1919 წლის თებერვლისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და-საშვებად მიიჩნია მოძრავი ყუთების არსებობა მთაგორიან, მიუვალ და შორს მდებარე უბნებისთვის. ყოველ ცალკეულ შემთხვევებში თავად კომისია (არა ნაკლებ კომისიის სხდომის ორი მესამედის) იღებდა გადაწყვეტილებას მოძრავი ყუთის დაშვების შესახებ (ფონდი 1834: 12-13).

1919 წლის 13 თებერვალს ცენტრალური საარჩევნო კიმისიის გადაწყ-ვეტილებით, მობილიზაციით ფრონტზე გაწვეული გვარდიელები საარჩევნო უფლებას არ კარგავდნენ. მათ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმ უბნებში, სადაც გარკვეული მიზეზის გამო არჩევნების ჩატარება გადადე-ბული იყო.

სამაზრო საარჩევნო კომისიას დაევალა დაედგინა, იმ პირთა ვინაობა, რომლებიც გაწვეულნი იყვნენ ფრონტზე. მათვე უნდა შეედგინათ ცალკე სია, სადაც იქნებოდა ჩაწერილი მათი გვარი, სახელი და მამის სახელი. აღნიშნუ-ლი სია კი შეინახებოდა დამატებითი არჩევნებისათვის (ფონდი 1834: 18-19).

საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ჯგუფს უფლება ჰქონდა, საარჩევნო კომისიისათვის 130 კაციანი დეპუტატობის კანდიდატების სია წარედგინა.

დამფუძნებელი კრების არჩევნების მარათონში ჩაერთვნენ არა მხოლოდ დიდი პოლიტიკური პარტიები, არამედ მანამდე ყველასათვის უცნობი პარტიებიც, რომელთა უმეტესობაც სახელდახელოდ წინასაარჩევნოდ შეიქმნა (ბენდიანიშვილი, 2001: 144).

1919 წლის იანვარში საარჩევნო კომისიამ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად 15 პოლიტიკური სუბიექტი დაამტკიცა: №1 - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; №2 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; №3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია; №4 - სომეხთა რევოლუციონური პარტია - „დაშნაკციუთუნი“; №5 - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია; №6 - საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო; №7 - საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია; №8 - საქართველოს ეროვნული პარტია; №9 - საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია; №10 - შოთა რუსთაველის ჯგუფი; №11 - დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი; №12 - ბორჩალოს მაზრის მუსულმანები; №13 - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - რსდმპ; №14 -„ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა“; №15 - საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი (ჯანელიძე, 2018: 211).

უნდა აღინიშნოს რომ თხუთმეტივე პარტიას საარჩევნო სიაში სულ 600 კანდიდატი ჰყავდა წარმოდგენილი, მათგან 26 ქალი იყო. ზემოთ ხსენებული პარტიებიდან ყველაზე მეტი 130 ადამიანისაგან შემდგარი კანდიდატების სია წარადგინა „საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ“, ხოლო ყველაზე მცირე, 15 ადამიანისაგან შემდგარი საკანდიდატო სია ეკუთვნოდა „შოთა რუსთაველის ჯგუფს“ (ირემაძე, 2018: 31).

1918 წლის 28 დეკემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოითხოვა, დამფუძნებელი კრების მე-12 მუხლის შესაბამისად, ერობის გამგეობას შეედგინა საარჩევნო კომისია, მაზრაში ყველა მოქმედი პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთა ძალთა განწყობილების შესაბამისად. ამავდროულად კომისია ირჩევდა თავმჯდომარეს, მისი ამხანაგს, ხაზინადარს და მდივანს (ფონდი 1834: 5).

1919 წლის 16 იანვარს ქალაქ ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის ხელმძღვანელობით, შედგა სამაზრო დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია, რომელიც შემდეგი პირებისაგან შედგებოდა: თავმჯდომარე - მიხა

ბერულავა, მოლარე - იონა მეუნარგია, მდივანი - ა. ანჯაფარიძე, წევრები: ი. მუჯირი, სოგ. კეშელავა, ბაგ. უგულავა და ნიკოლოზ ანთელავა.

ზუგდიდის მაზრა დაიყო 45 საარჩევნო უბნად. თითოეული უბნისთვის აირჩიეს კომისია 7-7 წევრის შემადგენლობით (ფონდი 1834: 12).

ზუგდიდის მაზრაში იყო შემდეგი საარჩევნო უბნები: წალენჯიხა, ჯვარი, ჯგალი, ფახულანი, ლია, ჭალე, ობუჯი, ლესიჭინე, ლეწურწუმე, ახუთი, ჭოღა, ნაფიჩხოვო, კირცხი, ჩხოროწყუ, მუხური, ნიკოსია, ცაიში, დარჩელი, კოკი, კახათი, აბასთუმანი, შამგონა, ანაკლია, ნარაზენი, ოირემე-დავითიანი, ყულის კარი, კორცხელი, ჭაქვინჯი, ხიბულა, ახალი ხიბულა, რიყე, ჭკადუაში, ლედგებიე,ზუგდიდი, დიდინეძი, ხეთა, ხორგა, ხობი, ქარიატა, ნოჯიხევი, ხორში, ზანა, ქვალონი, საჯიჯაო, რედუტ-კელე (ფონდი 1834: 13).

1919 წლის 24 თებერვალს ზუგდიდის სამაზრო კომისია მუშაობას შემდეგი შემადგენლობით შეუდგა: თავმჯდომარე - მიხაილ ბერულავა, მოლარე - ი. მეუნარგია, ი. მუჯირი, ს. კეშელავა და ა. ანჯაფარიძე. კომისიის სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები: ა. ჩიქავა (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), კალ. კობახიძე (საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია) და ლუკა გაგუა (საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია). სამაზრო კომისია დილის 8 საათზე 45-ე საუბნო კომისიის მიერ გამოგზავნილი საარჩევნო ოქმების განხილვას შეუდგა. საარჩევნო სიის მიხედვით მთლიანად ზუგდიდის მაზრაში რეგისტრირებული იყო 60 289 ამომრჩეველი. მათგან არჩევნებში მონაწილეობა 28 028 ამომრჩეველმა მიიღო.[3] საარჩევნო კომისიამ 14 ბიულეტინი ცნო ბათილად.[4]

ზუგდიდის მაზრაში პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 15 149 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 2 414 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 8 070 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 2 315 ხმა; საქართველოს ეროვნული პარტია - 7 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედე-

---

[3] აღნიშნულ დოკუმენტში ცთომილებაა, დოკუმენტში არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ორი განსხვავებული რაოდენობა 28 027 და 28 028 არის მითითებული. დოკუმენტური მასალების დაჯამებით შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 28 028 ამომრჩეველმა მიიღო - **ბ. ლ.**

[4] აღნიშნულ მონაცემში ცთომილებაა, დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საარჩევნო კომისიამ არა 14 ბიულეტინი, არამედ 15 ბიულეტინი ცნო ბათილად: ზუგდიდში - 1, ახუთში - 1, დიდი ნეძში - 2, ანაკლიაში - 3, კახათში - 3 და ხორგაში - 5 - **ბ. ლ.**

რალისტთა მაშვრალთა პარტია - 57 ხმა; დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირი - 1 ხმა (ფონდი 1834: 104). დანარჩენ პარტიებს ზუგდიდის მაზრაში ხმა არ მიუღიათ.

ზუგდიდის მაზრაში მთლიანობაში სამაზრო კომისიამ ბათილად 15 ბიულეტინი ცნო, ხოლო კანონიერად 28 013 ბიულეტინი ცნო (ფონდი 1834: 101).

1919 წლის 17 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების სამანდატო კომისიამ განიხილა ზუგდიდის მაზრის არჩევნების ოქმები. აღნიშნულმა კომისიამ ყურადღება გაამახვილა ზუგდიდის საზოგადოების არჩევნებზე, სადაც ყოველ დღიურად თვლიდნენ კონვერტებს, რომელიც აშკარა კანონდარღვევას წარმოადგენდა. კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც: „ზუგდიდის საზოგადოების არჩევნები დამტკიცებულ იქნა, მხოლოდ აღნიშნული დარღვევა დეფექტად აღინიშნოს“ (ფონდი 1834: 9).

**დასკვნა**

1919 წლის 14-16 თებერვალს, ზუგდიდის მაზრაში გაიმართა დამფუძნებელი კრების არჩევნები. არჩევნებში მოსახლეობის აქტივობამ 46,48% შეადგინა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ შეძლო ყველაზე მეტი 54,04%-ის მიღება; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ 28,79% მიიღო; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ - 8,61%; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ - 8,25%; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიამ - 0,2%; საქართველოს ეროვნულმა პარტიამ - 0.02%; დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირმა - 0.003%.

ამდენად, ზუგდიდის მაზრაში დამფუძნებელი კრების არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. არჩევნების მიმდინარეობის პროცესში არ ჰქონია ადგილი ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელსაც შეეძლო რაიმე სახის გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

ბენდიანიშვილი, (2001). ა. ბანდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921წწ.), თბილისი;

ირემაძე, (2018). . ირემაძე. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბილისი;

კუპატაძე, (2009). ბ. კუპატაძე. საქართველოს ხელისუფლების ისტორია, თბილისი;

ჯანელიძე, (2018). ოთარ ჯანელიძე. საქართველოს დამოკრატიული რესპუბ-
ლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი.

**საარქივო ფონდები:**

ფონდი 1833: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833,

- ✓ აღწერა 1, საქმე 54-1;

ფონდი 1834: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1834,

- ✓ აღწერა 1, საქმე 5;
- ✓ აღწერა 1, საქმე 88;
- ✓ აღწერა 1, საქმე 127;
- ✓ აღწერა 2, საქმე 17;
- ✓ აღწერა 2, საქმე 66;
- ✓ აღწერა 2, საქმე 74;

ფონდი 1836: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836,

- ✓ აღწერა 1, საქმე 51;

ფონდი 1836: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე
400;

საგაზეთო პუბლიკაციები:
გაზეთი „ერთობა“ (1917), 25 ნოემბერი, N205, თბილისი;
გაზეთი „ერთობა“ (1919), 5 იანვარი, N4, თბილისი;
გაზეთი „ერთობა“ (1919), 10 იანვარი, N6, თბილისი;
გაზეთი „ერთობა“, (1919), 23 იანვარი, N17, თბილისი;